



საქართველო

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 51 15
09/01/2019

15-51-4-201901091509



ჭიათურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ი“ ქვეპუნქტების, 85³ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „თ“ ქვეპუნქტების, 85⁴ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-13 და მე-15 პუნქტების და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების პირველი მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტის შერჩევის მიზნით დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, მოწვეულ იქნას დასახლებების საერთო კრებები, ხოლო დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს 500-ზე მეტ ამომრჩეველს, გაიმართოს ამომრჩევლებთან კონსულტაციები №1 დანართით განსაზღვრულ თარიღებში.
2. მერიის ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურს და მერიის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში დაევალოთ მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება და მათი კონსულტირება საპროექტო წინადადების შემუშავების პროცესში.
3. თითოეული დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განისაზღვროს №1 დანართის მიხედვით.
4. მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს მერიის ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიის წარმომადგენლობებში ყოველდღე, 09-დან 18 საათამდე, 2019 წლის 23 იანვრის ჩათვლით.

5. დასახლებების საერთო კრებების სხდომების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: დასახლებაში განსახორციელებელი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტ(ებ)ის შერჩევა.

6. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვრონ:

ა) ზურაბ წიქარიშვილი, მობილურის N 551 19 90 59, ელ.ფოსტა: infrachiatura@mail.ru

ბ) მურმან ხვედელიძე, მობილურის N 577 01 78 25, ელ.ფოსტა: khvedelidzemurman@gmail.com

გ) გოგი კავთელაძე, მობილურის N 577 01 75 72, ელ.ფოსტა: goga.kavteladze@gmail.com

დ) ზვიად ცერცვაძე, მობილურის N 577 01 78 12, ელ.ფოსტა: zviadcercvadze760@gmail.com

ე) იმედა ხვედელიძე, მობილურის N 577 01 78 13, ელ.ფოსტა: imedaxvedelidze@bk.ru

ვ) მალხაზ ჯაჯანიძე, მობილურის N, 577 01 78 14, ელ.ფოსტა: jajanidzemalxazi@mail.ru

ზ) პაატა ტყემალაძე, მობილურის N 577 01 78 15, ელ.ფოსტა: chilovani1971@yandex.ru

თ) როლანდ მოცრაძე, მობილურის N 577 01 78 16, ელ.ფოსტა: mocradze1968@mail.ru

ი) შუქრი შეყილაძე, მობილურის N 599 25 88 94, ელ.ფოსტა: shukri.shekiladze@mail.ru

კ) როინი ხუციშვილი, მობილურის N 599 20 23 09, ელ.ფოსტა: roini_xucishvili@mail.ru

ლ) დავით ხოჯანაშვილი, მობილურის 577 01 78 18, ელ.ფოსტა: davidkhojanashvili@gmail.com

მ) კობა სამყურაშვილი, მობილურის N 577 01 78 20, ელ.ფოსტა: kobasamkurashvili@mail.ru

ნ) მალხაზ ბრეგვაძე, მობილურის N 577 01 78 21, ელ.ფოსტა: zodisgameoba@yahoo.com

ო) იოსებ ნოზაძე, მობილურის N 577 01 74 93, ელ.ფოსტა: iosebnozadze444@gmail.com


პ) გოჩა ბიწაძე, მობილურის N 599 29 17 01, ელ.ფოსტა: gochabitsadze67@gmail.com

ჟ) არჩილ ჯაფარიძე, მობილურის N 595 41 16 16, ელ.ფოსტა: archiljaf@gmail.com

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჩხერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. საჩხერე, დ. აღმაშენებლის ქუჩა №3) დაინტერესებული მხარის მიერ ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გივი მოდებაძე



მერის მოვალეობის შემსრულებელი

